ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 579

"2" დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ. 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ის მიმდებარედ 35 კვ.მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ. 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 22 ნოემბრის №21.1632.1821 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ. 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 040 (ხუთი ათას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ახვლედიანი